№ 86 25 აპრილი, ოთხშაბათი 1866—1879 25 აპრილი, ოთხშაბათი № 86

დროება

ᲣᲙᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მ.ნ., სამის თვის—3 ან., ერთის თვისა—1 მან.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ... ებით ... ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციფროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდებ.

საქართველო

იმერეთის ბანკი და ჩვენ

არც ერთი ბანკი არ დაარსებულა, მგონია, დედამიწაზე ისეთის ჭაპან-წყვეტით, გაჭირებითა და ვაი-ვაგლახით, როგორც იმერეთის საადგილ-მამულო ბანკი. ვინ მოსთვლის, ჯერ თვით დაბადებამდინ რამდენი წვალება გამოიარა, რამდენი უხეირო ბებიები გაუჩნდნენ, რომელნიც იმ თავითვე, პირველ სუნთქმამდინვე, იმას დაღუპვას ემუქრებოდნენ; მერე დაარსების დროს რა არ გამოსცადა, რამდენს გაჭირებაში ჩავარდა, რამდენი ყაყანი ატყდა იმის თაობაზე, რამდენი კაცი ცდილობდა იმის დაპატრონებას, იმის ხელში ჩაგდებასა და მზრუნველობის კისრვას!

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ „მეო“; არავისაგან არ ისმოდა „ჩვენ“; პირველ პლანზე წარმოდგა კერძოობა; საზოგადო საქმე უკანასკნელს ხარისხზე გადააგდეს. ᲗᲘᲗᲥᲝᲡ რაღაც „შაებედითი ვარსკვლავი“ დაბადებისათანავე თან დაჰყვა ამ საცოდავს ბანკს...

ჩვენ გვეგონა, რომ ახლა, როდესაც ბანკი დაარსდა და იმის საქმეები, ცუდათ თუ კარგათ, წარმოებენ, ახლა მაინც მოისპობოდა ეს გაუწყნარებელი შფოთი, დაულეველი ინტრიგები და უთავბოლო პარტიობა. მაგრამ, როგორც სჩანს, ეს ისე ადვილი არ ყოფილა. ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ ჟამად აქ გაცხარებული პარტიობა შეიქნაო, არის ერთი დაუბოლოებელი ჩურჩული, კაცების გაგზავნ-გამოგზავნა, შიკრიკებისა და მოციქულების რბენაო და სხვა ამგვარები.

ღმერთო ჩემო, რას არ ამბობენ თურმე იმერეთში, რას არ აბრალებენ „დროებასა“ და ახალგაზდობას, რამდენი ცილის-წამება არის თურმე გავრცელებული, რა ლონის-ძიებას არ ხმარობენ იმისთვის, რომ „მტერი დაამარცხონ“ და გაიმარჯვონ, რა ჭახრაკებს ატრიალებენ, რა ინტრიგები მოუმართავთ, რამდენი ჭორები მოუგონიათ!

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ არავისთვის დაფარული არ არის, თუმცა ჩვენ დღის სინათლეში ვმოქმედებთ; მაგრამ, რასაკვირველია, აღმოჩნდებიან იმისთანა პირები, რომელნიც, სულ თუ არა, მეათედს მაინც დაიჯერებენ იმ საძაგელ ჭორებისა და ცილის-წამებისას, რომელსაც ჩვენ გვაბრალებენ.

რა გვინდა ჩვენ? რა არის ჩვენი მიზანი? რას ეცდილობთ? რას ექადაგებთ?

ჩვენი მეცადინეობა, მიზანი და სურვილი, მხოლოთ ერთა: რომ ბანკის საქმეები კართად წავიდეს და იმის საშუალობით ცოტაოდენი შელავათი, ცოტაოდენი შემწეობა მიეცეს ჩვენს ღარიბ ხალხსა და ქვეყანის.

ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲡᲘᲡᲠᲣᲚᲚᲘᲗ მოსაყვანად ჩვენ მუდამ იმას ვცდილობდით და ვცდილობთ, რომ ბანკის გამგებლებად რიგიანი, ენერგიული, თავიანი, მცოდნე და პატიოსანი კაცები დაეყენებინა ჩვენს თავად-აზნაურობას. სიტყვითაც და წერითაც მუდამ იმას ვქადაგობდით და ვქადაგობთ, რომ ბანკს მხოლოთ მაშინ შეუძლიან სარგებლობის მოტანა, როცა ის კარგის წესდებით იქნება დადგენილი და როცა ამ კარგ წესდებას კარგი აღმსრულებლები ჰყავს.

ჩვენ ვამბობდით, ვამბობთ და მუდამ ვიტყვით, რომ ის კაცი, რომელიც თავის მიზნის მისაღწევად არავითარ ლონის-ძიებას არ დასდევს, რომელიც თავის მოწინააღმდეგეზე გასამარჯვებელად ყველა ჭორს, ცილის-წამებას, სიცრუეს და სხვა ამ გვარ სახსარს ხმარობს, რომელსაც მოუსყიდველი პატიოსნება, ენერგია და თავიანობა არ მიუძღვის წინ,—ვამბობთ, რომ ამისთანა კაცი ყოველ საზოგადო საქმეს მოშორებული უნდა იყოს-მეთქი, რომ ამისთანა ხალხი ავაცილოთ ბანკსაც-მეთქი.

ჩვენ გვეგონა, იმის თქმას მაინც ვერავინ ვერ გაბედავდა, რომ „დროებასა“ და იმის თანამგრძნობლებს ამ შემთხვევაში რაიმე კერძო, საკუთარი ინტერესი, სარგებლობა აქვს და იმიტომ ქადაგებს რომელსამე აზრსაო, იმიტომ ცდილობს რომელიმე კანდიდატის გაშვებასაო და სხვ.

ᲐᲛ ᲘᲛᲔᲓᲨᲘ ᲛᲝᲢᲧᲣᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲒᲠᲩᲘᲗ: აღმოჩენილან ისეთი პირები, რომელნიც უცოდინარ თავად-აზნაურებს დიდის საინ-

ფელეტონი

ახალციხური ფელეტონი

სულ-გულის შემაწუხებელი ხმელა-მშრალი ზამთრის შემდგომ გაზაფხულის პირი-ცვალადი მარტიც გავატარეთ. დაგვიდგა პირმზიმარა აპრილი. ᲐᲛᲘᲡᲛᲐ ᲗᲝᲛᲘᲔᲠᲛᲐ ᲢᲙᲑᲘᲚᲛᲐ ᲰᲐᲔᲠᲛᲐ ᲪᲘᲣᲠᲛᲐ ᲚᲛᲝᲑᲘᲔᲠᲛᲐ ᲬᲕᲘᲛᲐ-ᲪᲕᲐᲠᲛᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲡ ᲮᲐᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲜᲐᲘᲠᲘᲡ ᲛᲓᲔᲚᲝᲗᲘ ᲨᲔᲒᲕᲘᲛᲘᲡᲐ ᲛᲬᲕᲐᲜᲔᲓ ᲛᲗᲐ, ᲑᲐᲠᲘ, ᲒᲝᲠᲐ, ᲬᲚᲔᲠᲔᲑᲘ ᲮᲔᲕᲘ, ᲦᲔᲚᲔ, ᲓᲐ ᲐᲒᲕᲘᲧᲕᲐᲕᲐ ᲮᲘᲚᲜᲐᲠᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲠᲘᲒᲘ ᲘᲐᲡᲐᲛᲐᲜᲘᲡ ᲠᲘᲒᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲘᲒᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲤᲔᲠᲘᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗᲐ. ᲮᲔ-ᲢᲧᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲩᲮ-ᲑᲣᲩᲘᲚᲜᲐᲠᲗᲐᲪ ᲓᲐᲔᲢᲧᲝᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ.

ᲛᲠᲗᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲛᲘᲐᲕᲚ-ᲛᲝᲐᲕᲚᲝᲗ, ᲒᲐᲘᲐᲠ-ᲒᲐᲛᲝᲘᲐᲠᲝᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲡᲣᲚ-ᲒᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲚᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ ᲓᲐᲛᲬᲚᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲜᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲒᲮᲔᲓᲔᲑᲐᲗ.

ᲙᲐᲪᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲜᲘᲭᲡᲐᲑᲝᲛᲫᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲦᲘᲠᲘᲡᲔᲑᲐᲘᲗ ᲓᲐᲣᲯᲘᲚᲓᲝᲗᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲜᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲘᲡ! ᲐᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲣ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲠᲘᲗᲘᲗᲘᲛᲔ ᲓᲦᲔᲜᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ, ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐ, ᲡᲐᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘ, ᲒᲝᲜᲔᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲘ?.. ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ!.. ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲤᲠᲘᲡ-ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲐ ᲐᲬᲝᲜᲕᲐ ᲚᲘᲗᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲕᲜᲐ, ᲛᲘᲬᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲖᲚᲕᲐ-ᲮᲛᲔᲚᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲝᲛᲐ, ᲛᲘᲮᲕᲓᲔᲜᲐ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲣᲚ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲚᲕᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲕᲔᲓᲔᲜᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ! ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲒᲕᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜ...

ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐᲔᲑᲡ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲓᲒᲔᲜᲓᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚ ᲡᲣᲡᲢᲡ ᲣᲡᲣᲡᲣᲠᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲨᲘ, ᲔᲠᲗᲛᲐ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲪᲮᲔᲜᲖᲔᲓᲛᲯᲓᲐᲠᲛᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲐᲠᲐ, ᲮᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲔ-ᲝᲠᲔ ᲐᲙᲐᲖᲛᲣᲚᲘ ᲛᲖᲐ ᲪᲮᲔᲜᲘ ᲔᲙᲐᲕᲐ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲒᲐᲚᲝᲛᲔᲑᲘᲗ:

—ᲐᲑᲐ Მ. ᲗᲣ ᲘᲜᲔᲑᲔᲑᲗ, ᲡᲐᲤᲐᲠᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲖᲔᲓ ᲬᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡᲐ, ᲨᲔᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘᲗ ᲐᲒᲔᲠ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲖᲐᲡ ᲓᲐᲣᲓᲒᲔᲗ?

ᲡᲐᲐᲗᲘ ᲛᲔᲐᲗᲔ ᲘᲧᲝ. ᲛᲔᲪ ᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲠᲝᲓ ᲛᲝᲕᲔᲕᲚᲔ ᲪᲮᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲡᲬᲘᲗᲔ. ᲒᲐᲕᲘᲐᲠᲔᲗ ᲛᲐᲠᲓᲐ, ᲚᲐᲨᲘᲮᲔᲕᲘᲡ ᲑᲐᲦᲩᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲓᲔᲥᲘᲗ ᲘᲥᲐᲕ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲐᲦᲦᲛᲐᲠᲗᲣᲚ.

ᲡᲐᲤᲐᲠᲐ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ-ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲗ, ᲮᲣᲗᲘᲗᲝᲓᲔ ᲕᲔᲠᲡᲬᲘᲗᲔ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ. ᲬᲘᲜᲐ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲨᲔᲦᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲨᲔᲕᲘᲐᲠᲔᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲕᲔᲓᲘᲗ ᲡᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲛᲐ ᲚᲚᲓᲘᲡ ᲥᲔᲓᲖᲔᲓ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲦᲠᲔᲚᲘᲡ ᲮᲠᲘᲝᲜᲒ ᲡᲝᲤᲔᲚᲡᲐᲘᲡ ᲐᲓᲐᲪ ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲡᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲐᲥᲕᲗ ᲥᲕᲘᲗ ᲜᲐᲨᲔᲜᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲨᲣᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ. ᲐᲛ ᲛᲐᲦᲚᲝᲑ ᲥᲔᲓᲖᲔᲓ ᲘᲡᲔ ᲠᲘᲒᲐᲓ ᲒᲐᲛᲔᲨᲐᲚᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲦᲐᲪ ᲒᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ ᲪᲘᲡ ᲙᲐᲛᲐᲠᲐᲖᲔᲓ ᲓᲐᲕᲓᲘᲗᲝᲓᲘ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲢᲕᲘᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲛᲡᲣᲑᲣᲥᲔᲑᲣ-

დუმლოებით ჩასჩურჩულებენ თურმე ყურში, რომ იმ ყმა ვილების განზრახვა ის არისო, რომ ბანკი ჩაიგდონ ხელში და ფულები როგორც უნდათ, ისე მოიხმარონო!

ამ საძაგელი ცილის-წამების დასარღვეველად საკმაოა მხოლოთ ის ფაქტი მოვიყვანოთ, რომ არც ერთი თანამშრომელთაგანი „დროებისა“ არ გამოდის კანდიდატად, არ აპირობს კენჭისყრას, არ ეძიებს არავითარ ადგილსა და თანამდებობას ბანკში, და ისინი, ვინც ამისთანა ჭორებს ავრცელებენ, ისინი კი გამოდიან და კენჭის-ყრასაც აპირებენ.

ყველა ამ გვარი უსაფუძვლო ხმების მოსასპობელად და ბანკის საქმის რიგიანად წასაყვანად აუცილებელი საჭიროებაა, რომ ბანკის სხდომებში ვრცელი თავისუფლება ჰქონდეს ყველა მეკენჭეს მინიჭებული თავის აზრის გამოთქმისა.

სრული იმედი გვაქვს, რომ წელს არ გამეორდება შარშანდელი სამწუხარო მაგალითი, როდესაც, ლოლაბერიძეების ჩაგონებით ზოგიერთი პირები თითქმის ხმლით აკუწვას ემუქრებოდნენ ყველას, ვინც ხმის ამოღებას გაბედავსო და როდესაც მუდამ გაისმოდა სიტყვები:

„—კენჭი! კენჭი! კენჭმა გაგვასწოროს!“

კენჭი მაშინ უნდა, როდესაც რომელიმე საგანი, საზოგადო კრებაში მოლაპარაკებით და აზრების გამოთქმით, კარგად გამოკვლეული და ყველასთვის ცხადათ ახსნილი იქნება; კენჭი მაშინ „გაასწორებს“, როდესაც ყველამ კარგათ იცის, ვის ანუ რას ჩაუგდებს ის თეთრს და ვის შავს. თორემ გამოდიხართ, და ჰყვირით: „—ხმის ამოღება არ შეიძლება! კენჭი მოგვეცითო!“—ამნაირად უნდა გაკეთდეს საზოგადო საქმე? ასე უნდა მმართოთ ბანკი?

ვიმეორებთ: ამ საქმეში ჩვენ არავითარი კერძო, პიროვნული ინტერესი არა გვაქვს და ერთად-ერთი ნატვრა ჩვენი მხოლოთ ის არის, რომ ბანკის საშუალებით ჩვენს საზოგადოებას ცოტაც არის მაინც სიკეთე მოეცხოს.

ამიტომაც ჩვენ სრული უფლება გვაქვს ურჩიოთ საზოგადოებას:

ნუ დაუჯერებთ იმათ, ვინც ახალგაზდობის გაშავებას ცდილობენ; ნუ დაუჯერებთ იმათ, ვინც გიქადაგებთ, რომ „დროების“ მომხრეებს ბანკის ჩაგდება უნდათ ხელშიო; ნუ დაუჯერებთ იმათ, ვინც გეუბნებიან, რომ ოღონდ მე ამომირჩიეთ და გაგაკეთებთ, ამა-და-ამ თანამდებობას მოგცემთ, მამულს დაგიგირავებთ ბანკში, ბლომათ ფულს გამოგიტანინებო; ნუ დაუჯერებთ იმათ, ვინც ბანკიდამ საკუთარ სარგებლობის გამოლებას მოელის; ნუ აჰყვებით ფეხის ხმას; ნუ ემორჩილებით ორ-სამ მყვირალა ანუ ჩუმ-ჩუმა მოლაპარაკე კაცს.

ყველას საზოგადო სარგებლობა ჰქონდესთ მხედველობაში; ყველამ თავის სინიდისსა და გამოცდილებას დაეკითხოს; ყველამ ეცადოს კარგათ გაცნობა ბანკის გარემოებისა, საკანდიდატო კაცებისა,—და მხოლოთ ამის შემდეგ ჩააგდოს შავი ანუ თეთრი კენჭი...

ს. მ.

დღიური

⁂ ბათუმიდამ გვატყობინებენ. რომ იქ მიუღიათ სტამბოლიდამ ოფიციალური ცნობა შესახებ შავი ზღვისაკენ ოსმალოსა და რუსეთის საზღვრებისა. ეს ცნობა, როგორც იწერებიან, მიუღიათ ღენერალის სტებნიცკისაგან, რომელიც საზღვრების თაობაზე პორტასთან მოსალაპარაკებლად იყო გაგზავნილი სტამბოლში ჩვენის მმართებლობისაგან.

ამ ცნობიდამ სჩანს, რომ ახალი საზღვარი რუსეთსა და ოსმალეთს შუა შავს ზღვაზე იწყება სოფლებს მაკრიალსა და აბუ-ისლს შუა; შემდეგ გაჰყვება მთას და გადის პოთვინის სამხრეთით. მურღულის ხეობა, რომელზედაც დავა იყო და სადაც ოსმალებს დღემდინ თავიანთი ყაიმაყამი ჰყავდათ, ჩვენ გვრჩება, აგრეთვე ჩხალას მაზრაც. ეს ორი მაზრა, ამბობენ, ყველა მაზრებზე უფრო ნაყოფიერი და მდიდარი მაზრა არისო.

⁂ თუ როგორის სისწრაფით მოქმედობს ჩვენი ტელეგრაფი, ამის საჩვენებლად მოგვყავს შემდეგი ფაქტი:

ერთმა ქუთაისიდამ მომავალ მგზავრმა გამოგზავნა ტფილისში დეპეშა, რომელშიაც, რასაკვირველია, საჭირო და საჩქარო საქმე იყო.

როდესაც ტელეგრაფის გამომგზავნი ჩამოვიდა ქალაქში და მივიდა იმ პირთან, რომელთანაც ის ტელეგრამმა გამოგზავნილი იყო, მხოლოთ მაშინ მიიღეს იქ დეპეშა.

⁂ ჩვენ გვითხრეს, რომ ვიღაც ინჟინერს თუ ზემლემერს ივანოვს გაუმართავს ქუთაისში აგურისა და კირის დასაწვავი ზავოდი, და ისე იაფად უჯდება ამის წარმოებაო, რომ ათასს აგურს, მაგალითად, 6—8 მანეთად ჰყიდისო (ჩვეულებრივად ჩვენში აგური 15—16 მანეთად ფასობს).

⁂ კახეთიდამ გვწერენ, რომ საზოგადოთ იქითკენ და განსაკუთრებით თუშების სოფლებში ამჟამათ ისეთი ცხელი დღეებია, რომ კაცს სუნთქვა უჭირსო. წვიმები კარგა ხანია არ მოსულაო.

⁂ თუშეთიდამ გვწერენ, რომ თუშები ძალიან დაზარალებულნი მოვიდნენო შირაქის საბალახებიდამ ცხვრის სიკვდილით. თითქმის ყოველ ოჯახს ვისაც კი ჰყავდა ცხვარი, გაუნახევრდაო მთელი ფარა.. რომლებიც ცოცხალი დარჩა, იმათშიაც თითო-ოროლა კიდე იხოცებაო.

შირაქში შეყრილან მოლლები, მკურნალები, ბევრ გვარი ლოცვები და წამლები უცდიათ, მაგრამ არაფერი არ მიჰკარებია ამ ავათმყოფობას!

ლი. იმიტომ ვერ მონაზონებს გასტკბობიათ თაფლ-შაქარსავით უდაბნოში ცხოვრება!

ოთხკუთხივ სრულ კლდე, გორა, მთა, სერები დამხვდა ხშირს უღელ ტეხილებით საუცხოვოდ აჯაჭვული: თითქო მთელი კავკასიის მთების ლადა-ლუდა ოღრო-ჩოღრო, წრიაპი კლდე-ნარ-ხევღელეების სურათი პატარად შემდგარი ყოფილიყო ფოტოგრაფისგან დურბინდში, ისე სასიამოვნოდ სჩნდა! ღრელის იქით ორი ციციბო კლდოვანი ღელეები გავიარეთ მათი შესაფერის განებითა ისეთი საამური ყვაკილების ტკბილი სუნნელება მოდიოდა ამ ჩახრახებითგან, რომ იტყოდით ედემის სამოთხის უკვდავება წყალროლვენის ზვირთებს აქ გადმოუგდიაო! მეორე ღელის თავს ვენახე საჯვარის ნაადგილევ, ქვა ჯვარის მკილავები დამტვრეული იქავ აწყვია.

ცოტა დაღმართი რომ ჩავიარეთ გამოსჩნდა საფარის ეკკლესია, მდებარე ღრის შუა კალთებზედ, ნახევარ ვერსის სიმრგვლე ციხე გალავნით შემოზღუდული; გალავნის გარემოს მშვენიერათ ამწვანებული ფერდობა უვლია. ციხის გალავან ქვეშ ფრიალო კლდე არის ხევამდის, ქვეშ ხევში სატალახევის სწრაფი ხრიალა მდინარე ჩაუქრის, რომელიც მინაძეების ციხის გამოღმით ოხერასთან ერთობა მტკვარსა.

შესავალ გალავნის კართან ჩამოვჯედ ცხენიდგან და მოვავლე თვალი შენობასა და ბუნებასა. გარეგან შემხედველთ არ გაგიჯერებდათ თვალი, იტყოდით უთუოდ აქ ოციოდე მდიდარი მოსახლეები უნდა ცხოვრობდენო; მერმე მაშინდელ მონაზონთ ცხოველ მოძრაობა ღვთის მსახურებაში, სამშობლო მამულის დაფასებაში, მოღვაწება-განათლებაში და სხვაც; მაგრამ ბუნების სიჩუმე და ჩასაფიქრებელი მყუდროობა ცხადათ დაგიმტკიცებდათ, რომ გატიალებული უდაბნოა, კაცის ადამიანის ხსენება-ჭაჭანებაც არ არისო. მხოლოდ მოისმოდა ღრმად მდინარის ნაღვლიანი ბირგვლა-ბუტბუტი, კლდე, ღრის ბანი-ზარი, მგლოვიარობის შავში ჩასხდომის სანახაობა, კაკბების გულიანი კაკანი, გვრიტების ღუღუნი, შოშიების სტვენა და წივწივი-წიალთა!

შევედ ჩრდილო გალავნის კარით, მივხედე, დასავლით—ნახევარ ნაქცევი მშვენიერ კოშკებიანი ციხე არის, ციხეში ნათალის ქვით ნაეკლესიარი ეტყობა დი მასთან პალატი ნათალის ქვითავე ათაბაგეებისა თუ მონისტრის უმფროსისა! იქავ, სადაც შეველ კართან მარცხნივ, მრთელი ეგვტერი დგას თავის ტრაპეზითა. მარჯვნივ გაყოლება სამრეკლომდის სულ სენაკები ყოფილა კამარებით-თალით შეკრული და ქვეშ აკლდამები, როგორც ჩრდილოდ ისე სამხ-

მეტად დაღონებულნი არიანო თუშები. ცხვარია იმათი სიმდიდრე; ცხვარია იმათი ყოველივე საჭიროების, მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი და როგორ არ უნდა იწუხონ, როცა ასე შეუბრალებლად აკლის ხელიდამ უცოდველი სნეულება! ვისაც უნდა ჰკითხოთ (თუშს) ცხვრის ამბავი, ყველა ერთსა და იმავე პასუხს მოგცემთ: „მორჩა, ძმავ, მორჩით!“

„დროების“ კორრესპონდენცია

სოფ. მეტეხი, 15 აპრილს. კიდევ ვერაფერი ამბავი ხდება ამ ჩვენს მეტეხში. შვლები არ განელდა. ნეტა ვიცოდეთ მაინცა, ვინ გაგვირისხდა ასე ძალიანა? ღმერთი, თუ ი. თეთრა-ყირმიზათ ჩასუქებული ზორის მკვდრების უსტაბაში? მეტეხელები ვართ, შენი ჭირიმე, ჩვენც გვყავს უსტაბაში, მაგრამ ისე არ შეგვირისხდება ხოლმე, როგორც ი საჰკოვი შეგვიჯავახდა.

ეს ჩვენი ღვდელი ღარიბოვი ძალიან საქმეებსა სჩადის, რომ არ იქნება. დეკანოზიცა გვყავნდა, შენი ჭირიმე, მაგრამ ასე კი არა შვრებოდა ხოლმე. ჩვენი მეტეხი სობორო სოფელია. სამი დღის მკვდარს ისე არ დავმარხამო, თუ ქალალდი არ მომეცითო, რომ ერთის თვის ავათმყოფი იყოვო. საიდამ მივცეთ, შენი ჭირიმე, რომ ვაჟკაცი კვირაცხოვლობას იძახდა: ერთი მაჭიდავეთო?

ჩვენის თხოვნით წირვა კი გამოიყვანა და პარაკლისიც კი გადიხადა, მაგრამ სოფელს აღარ უვლიდა ხატითა. ცუდათ აილეწა ჩვენი ხალხი მაშინა, და არ გამოუსვენებინა, მე ვიცი საქმე ცუდათ იქნებოდა.

ასე ამ ნაირათ, შენი ჭირიმე, გავყევით მთელი სოფელი ჩვენ ხატსა; რამდენიც ზარები ძალიან ირეკებოდნენ, იმდენი ჩვენ პირჯვრის წერას მოუმატეთ და ფეხთაც დავიხადეთ. მანდილოსნები ხო სულ ფეხ-შიშველები იყვნენ. ღამაზი კნეინები კი ი ბატინებს ისე მიაბაკუნებდნენ, თითქო თოხარიკი ცხენები არიანო,—ეტყობა სიკვდილისა ამათაც შინებიათ, სიცოცხლე სდომებიათ, მაგრამ ი სამზეურები კი ვერ მოიშორეს თავიდამა...

ჩვენი ხატი ძლიერი ხატია, ვახტანგ მეფის ხატია; წილკანსაც, სამთავისსაც და მრთაწმინდაშიაც იმას აუშენებია; ვნახოთ რა გამოვა.

აბა შენი ჭირიმე, ბატონო მბეჭდავო, გააქვეყნე ეს ამბავიცა და პატივის-ცემას გადაიხდით.

მეტეხელი გლეხი

უცხო ქვეყნები

ბულგარია

ბულგარიის წარჩინებულ პირთა კრებას ამ თვის 16-ს შეუსრულებიათ განხილვა თავიანთ კონსტიტუციის წესდების პროექტისა და ზოგიერთის ცვლილებით მიუღიათ ეს რუსეთისაგან წარდგენილი პროექტი.

მეორე დღეს, 17 აპრილს, როგორც ტელეგრამმამაც გვაცნობა ამ კრებას ჰქონდა სხდომა ბულგარიის მთავრის ამორჩევაზე; ჩვენ ვიცით, აგრეთვე დეპეშით, რომ ბოლგარიის მთავრად ხმის უმეტესობით ამოირჩიეს თ. ბატენბერგი.

საფრანგეთი

ამ თვის 8-ს საფრანგეთის ზოგიერთს დეპარტამენტებში იყო დამატებითი ამორჩევები ნაციონალურ კრების დეპუტატებისა; სულ 8 დეპუტატი უნდა ამოერჩიათ. ამათში ექვსი რესპუბლიკელი იყო ამორჩეული, ერთი ბონაპარტიელი და ერთიც (ქ. ბორდოში) გამოჩენილი რევოლუციონერი ბლანკი. ამ უკანასკნელის ამორჩევამ ძალიან ბევრი ლაპარაკი ასტეხა ფრანცუზულს გაზეთებში. ბლანკი სატუსაღოში ზის ახლაც 1870 წლის კომუნის არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის და კანონით პოლიტიკურ დამნაშავის ამორჩევა დეპუტატად შეუძლებელია. მმართებლობა, როგორც ამბობენ, ამ ამორჩევის გაუქმებას უპირებს, მაგრამ ეშინიან კიდეცა—ვაი თუ ხალხმა ხელ-ახლად ამოირჩიოსო, ხელ-ახლად გასაუქმებელი შეიქნეს ეს კენჭის-ყრაო და ამნაირად არეულობა რამ მოხდესო.

საფრანგეთის ნაციონალურს კრებაში სულ 533 დეპუტატი უნდა იყვეს; ახლა 531 არის; ამათში ითვლება: 385 რესპუბლიკელი, 83 ბონაპარტისტი და 63 ორლეანისტი და ლეგიტიმისტი; აქედამ სჩანს, რომ რესპუბლიკელებს თითქმის ერთი სამად უფრო მომეტებული ხმა აქვსთ პალატაში, ვინემ ყველა გვარ მონარხიელებს ერთად.

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო!

დღეს საათის ათზე დილით მივედი ჩვენს პოჩტაში და მივიტანე კანვერტით გასაგზავნი ფული; ამ დროს თითონ ფოჩტმეისტერი უ. დრაჩინსკი სწერდა თავის კერძო საქმისათვის წიგნს და უცადე, რომ გაეთავებინა ეს წიგნის წერა და მიელო გასაგზავნი კანვერტი. როცა გაათავა წერა, ვსთხოვე, რომ ნუღარ ეცდევინებინა, რადგანაც ჩემი საქმეები მეტი დარჩენისათვის ნებას არ მაძლევდნენ.

ჩემ თხოვნაზე უფ. დრაჩინსკიმ გამოგვიცხადა მე და ერთს ჩემზე ადრე იქ მისულს, რომ: ცოტა კიდევ მოგვეცადა, რადგანაც ის ფოთში გზავნის თავის სახლობას და იმათი საქმეები აქვს. გვითხრა და პასუხის მიუღებლათ მიგვატოვა და ავიდა თავის სადგომში.

რადგანაც ამნაირი პასუხი და ქცევა უფ. დრაჩინსკისა, როგორც თანამდებობის აღმასრულებელ ი პირისა, არ მეჩვენა წესიერათ, სხვა იქ მყოფნელებს უთხარი, სხვათა შორის, რომ: „მე მა-

---

რით ეკკლესიისა. მრთელი შენობები ამრიგად ყოფილა გამართული. დედა ეკკლესიის ქვეშ კი ათაბაგების აკლდამა ყოფილა.

დედა ეკკლესია ჯვარედინად აგებული ზარზმის ეკკლესიის ნაირად, გარნა ეს მოდიდოა მისგან. კანკლების მოწყობილობა ზეით და ქვეით საუცხოვო ყვავილიანი ჩოქურთმებით არის გამოყვანილი.

ჩრდილოს კარის ქვეით ჯვარ ქვეშ აწერია: „წმინდა ძელი ცხოვრებისა.“ დასავლის კარზედ სრა აქვს შვენიერ კამაროვანად მოყრილი; კარის ქუდზედ ბევრი რამ აწერია ისტორიული ხუცურ ქარაგმითა, სამწუხაროდ კიბე არ იყო რომ წამეკითხა. რადგან მტერს მონასტრის აოხრებისა შეუთაკრიათ ამ სრაში შეშის ხორა და მიუციათ ცეცხლი, ვინ იცის რამდენჯერ მომეტებულ კვამლსა ისე შეუჭვარტლია ეს ნაწერები და აცა რომ ბუხრის კედელი გეგონებათ; იმას გამო სხვა დროსთვის დავსტოვ ამ ეკკლესიის აღწერასა!

ამ დედა ეკკლესიის ჩრდილოდ დგას გაცალკევებით თლილის ქვით ნაგები ერთი მშვენიერი ეგვტერი მრთელი; შესავალ კარზედ აწერია:

„შეიწყალე, წინასწარმეტყველო იოანე ნათლის მცემელო, ჯაყელი იოსებ და ძენი მისნი: ამინ.“

სამხრით აქვს ექვსიოდე ეგვტერი ეკკლესიაზედ მოკიდებით გაყოლებული. ამ ეგვტრებ შუა დიდი ეგვტერია ორად გაყოფილი და მრთლად ნახატი კედლები ფერადითა. შიგნით აღსავლის ხატები სრულ ქვისა ყოფილა უცხო ჩუქურთმიანი ძეგლებითა გამოჭრილი, მაგრამ მტერთ შეუმუსრიათ, ზოგ-ზოგი კი ნახევარ შემუსრული დაშთენილა, როგორც ღვთის-მშობლის ძეგლი თავის ძითა, მოკითხვა წმ. ელისაბედისა და მისთანანი. სრულ ბოლო სამხრეთისკენ მდგარ ეგვტრის კარ ზემოდ აწერია:

„სახელითა ღვთისათა, მე საფარისა მოძღვარმან აფშვენის ძემან, აქა დამკვიდრებულთა წმიდათა მამათა აღუშენე მცირედი ესე ეგვტერი სახსენებლად ცოდვილისა სულისა ჩემისა. რა,“ ე. ი. 1411 წ.

მის ქვემოდ აწერია:

„წმიდისა სადა უდაბნოთ განმანათლებელისა, დღესა მას დიდსა განკითხვისასა მიხსნეს მარცხენეთაგან და მარჯვენეთა მათ მისთა თანა აღმრაცხოს“.

სამხრის სანათურზედ აწერია:

„ამისა აღმშენებელსა გრიგოლს მოძღვარსა შეუნდენ ღმერთმან.“

სჩანს ეს ეგვტერი სრულ უკანასკნელ დროს უგებულია.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

კვირეებდა ამნაირათ უწესოთ მოქცევა უფალი დრაჩინსკისა“ და წამოველი ჩემ საქმეზზე, სადაც დავტოვე მეორე ჩემზე ადრე იქ მიმსვლელი, რომელიც ჩემს მეორე მისვლაზედაც იქ დამხვდა ხელში გასაგზავნი კანვერტებით.

ჩემს მეორე მისვლის დროს ჩამოზრძანდა უფ. დრაჩინსკი და უბრძანა თავის თანაშემწეს, რომ მიელო ჩვენი კანვერტები.

იქვე მყოფმა კერძო პირმა უფ. დრაჩინსკის ნაცნობმა, რომელიც დაესწრო ჩემი შენიშვნის გამოცხადებას, ზდილობიანათ მითხრა, რომ პატივი უნდა მეცა იმის თხოვნისათვის (?) და იმნაირი შენიშვნის გამოცხადებით არ უნდა წავსულიყავი.

უ. დრაჩინსკი, გამგონი თავის ნაცნობისაგან ჩემი იმნაირი შენიშვნისა, საშინლათ გაკაპასდა და თავის თანამდებობის ასრულების დროს იმისთანა სიტყვები მითხრა, ზდილობის და წესიერების დამრღვევიო და საქმის უმეცარიო და აზიელიო და სხვა, რომელსაც თვით უკანასკნელი მიკიტანიც კი არ აკადრებდა თავის თავს.

რადგანაც, საზოგადო წესით, ყოველივე სასჯელი საგრძნობელი უნდა იყოს და რადგანაც უ. დრაჩინსკი არის განათლებული (?), როგორც თითონა სთქვა, თანხმად ამისა იმისათვის იმ სიტყვების პასუხად მე ვაცხადებ გაზეთში იმის მოქცევას.

თუ უ. დრაჩინსკის აქ მოყვანილები მეტათ ეჩვენებიან, მაშინ, იმედი მაქვს, ის სუდით მომთხოვს პასუხს, სადაც მზათ ვიქნები დაუმტკიცო ყოველი ისინი, რასაც მის ნაკლულევანებას ვააშკარებ.

თუ ჩემი იმედი არ გამტყუნდება, მე ვისურვებ, რომ უფ. დრაჩინსკის შესანიშნავლათ დაუნიშნონ, რომ, ათ დღეს მაინც თანამდებობის ასრულების დროს, თავისი სპარსული ფესკით, ტუფლებით და ხალათით კანცელარიაში მოსვლა აღუკრძალონ, რადგანაც ამას ის ყველა ნაირ სასჯელზე მომეტებულათ იგრძნობს...

ლევან მჯ—შვილი

განცხადებანი

კუმისი

ისყიდება ყოველ დღე ახალი და ნამდვილი კუმისი, რომელიც არის ნაქები სამზღვარ გარეთელ პროფესორებისა და ექიმებისაგან და რომლის გამო არის მიღებული საჩუქარი მენის და პარიჟის მსოფლიო გამოფენაში.

გირჩევთ როგორც იშვიათი სამთვარი. (ამასთანავე ვაცხადებ, რომ ზამთარში იყო გაშინჯული ამ კუმისის ძალა).

ფასი ერთი ბოთლისა ათი შაური

ადრესი: დიდ ვოდოვოზნი ჩუქაში, სახლის № 20, საპერნის კაზარმის პირდაპირ. აგრეთვე ისყიდება დვარეცის ქუჩაზე, შაბუროვის სახლში, მალოჩნის დუქანში. (3—1)

მოვიტანე გასასყიდლად ორმოცი ბერცალი (ხელით სათრევი პავოზკა) თავის ყოველი მოწყობილობით. ძალიან კარგად არის გაწყობილი ფიცრებისა და დიდი ხევების საზიდავად.

ყიდვის მსურველს შეუძლიან მიმართვა არსენალის ქუჩაზე, ფულინოვის სახლში, № 31. (3—1)

„ჯაერ ოსტატი“

კამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება მ. ჯორჯაძისა

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკლესიის ქვევით დუქნებში. გარეშე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. კ. მესხის მაღზიაში ისყიდება

„ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გრიბოედოვის ა. ნათარგმნი გრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

თფილისში უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში უფ. კოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში ისყიდება:

ალმანახი

შედგენილი
გ. თუმანიშვილისაგან
წიგნი მეორე
გამოცემული გ. ჩარკვიანისაგან
ფასი—ორი აბაზი

გამოვიდა და ისყიდება

„გუტიაობა“

ვოდევილი
აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქ უ თ ა ი ს შ ი—უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილის . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 24 აპრილს.		
ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ.	1	80
ფქვილი წითელი . . .	1	40
ქერი ფუთი	1	20
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	20
—ამერიკისა, ფუთი . .	8	30
გაპენტილი ბამბა ფუთი.	9	60
მატყლი თუშური ფუთი.	6	60
—თარაქამისა ფუთი . .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ. .	2	10
ქონი, ფუთი	5	50
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	70
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	99
სპირტი ვედრო	4	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . . .	5	60
ყავა გრგვალი, გირვ . .	—	70
ჩეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	80
თამბაქო, ხაშალო ფთ.	7	20

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერიშევი და გარლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 24 Апрѣля 1879 .Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.